№ 227 ოქტომბერი 29, შაბათი 1888 ოქტომბერი 29, შაბათი № 227

გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციასა ფრეილინის ქუჩა, ზასტამოვის სახლი, № 5, ხიდეველის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1888 სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888

ნინო ზაქარიას ასული მამაცოვისა, ზაქარია, ანტონი და ნიკოლოზ ივანეს ძენი არჯევანიძეები დებითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებას პირველი დისას თვისისას, ხოლო მეორენი—დედისა თვისისას, ეკდოკია ზაქარიას ასულის არჯევანიძისას. პანაშვიდი იქნება 29 ოქტომბერს 12 საათზე და საღამოს 7 საათზე. მიცვალებულს გაასვენებენ ქაშუეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში, 30-ს ოქტომბერს, დილის 10 საათზე.

## ქართული თეატრი

კვირას, 30 ოქტომბერს,

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

I

**თამარ-ბატონიშვილი**

ისტორიული დრამა 5 მოქმედებად.

მეორე მოქმედებაში ქ. ჩერქეზიშვილისა და აწყურელი ითამაშებენ ლეკურს.

II

დივერტისმენტი

მონაწილეობას მიიღებს ბ-ნი ტყვიაველი.

III

მ ა თ ი კ ო

(წარმოდ. იქნება მე-3 მოქმედ.)

მონაწილეობას მიიღებენ: ბ-ნნი ყიფიანი, აბაშიძე, გამყრელიძე, აწყურელი, დიღმელი; ქ-ნნი მელიქოვისა, თამაროვისა, ჩერქეზიშვილისა და სხვანი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი $7\frac{1}{2}$ საათზე

---

ტფილისი, 28 ოქტომბერი

ნუ თუ მართლა საფრანგეთი ისე განმარტოებულია, ისე ყველასაგან განზე გაყენებულია, ისე ყველასაგან ხელ-აღებული და გაწირული, როგორც იძახიან გერმანიის გაზეთები თავისის თავის სანუგეშოდ? არა გვგონია

ჩვენ ამას წინადა ვსთქვით, რომ გერმანია თუმცა ბევრს ჰფართიფურთობს თავისის მეგობრებითა,—ავსტრიით და იტალიით—მაგრამ გულში-კი არა გვგონია ამათი დიდი იმედი ჰქონდეს. ჩვენ ვამბობდით, რომ ვერც ავსტრია, ვერც იტალია ისე ვერ დაუმოყვრდება გერმანიას, რომ ცალი თვალი სხვისაკენაც არ ეჭიროს ერთსაცა და მეორესაც. ტყუილად იძახიან საფრანგეთი განვამარტოეთო, საფრანგეთს მომხრე და მეშველი არა ჰყავს ევროპაშიო. სიყვარული, მეგობრობა, მოყვრობა და სხვა ამისთანა თბილ-თბილი და ტკბილ-ტკბილი გრძნობა პოლიტიკაში ხომ თხილის ნაჭუჭის ფასადაც არ გადის და ამ მხრით ანუსხვა იმისი თუ,—ვის შესტკივა გული საფრანგეთისათვის მეტი იქნება და არაფრად ღირებული. საქმე ის არის, საჭიროა საფრანგეთი ევროპიისათვის, თუ არა. რომ საჭიროა, ამაზედ ეჭვი არავისა აქვს და თუ საჭიროა, საფრანგეთი თავის დღეში მარტო არ იქნება ევროპაში.

საფრანგეთმა თვითონაც რომ მოინდომოს მარტოდ და ცალკედ ყოფნა, ევროპა ამას არ უყაბულებს. ეს აშკარაა, იმიტომ-რომ მარტო-ხელი, განცალკევებული, უმწეოდ, უმომხრეოდ დარჩენილი საფრანგეთი ადვილი გასაქელი იქნება და გაქელვა მისი და თავ-გასული, საზღვარ დაუდებელი ბატონობა გერმანიისა ევროპაში ერთი იქმნება. ამას თავის დღეში ევროპა არ მოინდომებს. პირ-იქით, ევროპისათვის სასურველია, რომ საცა ძლიერი გერმანიაა, იქ ძლიერი საფრანგეთიც იყოს, რომ ერთმანეთი დაჰქლავგმონ და ამ ორში ერთმა სხვაზედ არ იბატონოს ევროპაში, იმიტომ-რომ ბატონობის მადა და სიხარბე მარტო ამ ორმა სახელმწიფომ გამოიჩინა ჯერ ხანად, საფრანგეთმა ნაპოლეონ III დროს და გერმანიამ მას აქედ, რაც საფრანგეთზედ გაიმარჯვა.

ავსტრიისათვის და იტალიისათვის ამ მხრით საფრანგეთი დიდი რამ არის და ძნელად გამოსამეტებელია. ამიტომაც არც ერთის ამათის მეგობრობას და მომხრეობას საფრანგეთის წინააღმდეგ გერმანია მთლად ვერ მიენდობა. აი აქ არის მიზეზი, რომ გერმანიას ჯერ ხანად ომი ვერ გაუბედნია საფრანგეთისათვის, თუმცა სული კბილით ძლივს უჭირავს, ისე მოწადინებულია. ევროპა ნებას არ მისცემს გერმანიას გაანადგუროს საფრანგეთი და თუ ამას წინად არ წაექომაგა საფრანგეთსა, მარტო იმის თვის, რომ ნაპოლეონის საფრანგეთი მეტად თავ-გაზვიადებული იყო ევროპაში და ამიტომ საჭიროდ შეიქმნა ფრთა ცოტად თუ ბევრად მოჰკვეცოდა. როცა გერმანიამ ეგ ფრთა შეაკვეცა, ახლა თვითონ გაზვიადდა და თავს გავიდა და ამაზედ მეტის გაზვიადებას-კი ევროპა ველარ შეიშვნევს. აი გერმანიის ასალაგმებლად ამ გაზვიადების გზაზედ დიდად საჭიროა ძლიერი საფრანგეთი და თუ დღეს რუსეთი მხარს აძლევს საფრანგეთსა, სწორედ იმ მიზეზით, რომ უსაფრანგეთოდ გერმანიის მძლავრობასა და გაუმაძღრობას ძნელად გაუძლებს ევროპა.

ეხლა თუ საფრანგეთის წინააღმდეგ იქცევიან ზოგიერთნი სახელმწიფონი და ეკურკურებიან გერმანიას—ეს ამბავი სახვალიოდ ბევრს არას ჰნიშნავს. აი თუნდა იტალია ავიღოთ. ეს ხომ გერმანიის სასიამოვნოდ და სამეგობროდ არის თავ-დადებული და საფრანგეთთან დიდი კინკლაობა, წყრომა და კრულვა აქვს, მაგრამ თუ მართლა ომი ასტყდა, არავინ იცის, იტალია გაიმეტებს საფრანგეთსა, თუ არა. ჯერ დღესაც იტალიის უკეთესთა შვილთა გული საფრანგეთისაკენ უფრო აქვსთ, ვიდრე სხვისაკენ. ზოგიერთნი კიდევ ჰფიქრობენ და არწმუნებენ სხვას, რომ იტალიისა და საფრანგეთის შერიგება ადვილი საქმეაო.

გამოჩენილი ორატორი იტალიისა და დეპუტატი არბიბი სწერს გაზეთებში, რომ იტალიაში ერთი კაციც არ არის საფრანგეთთან ომის მოსურნეო. ყველანი, ვინც-კი საპოლიტიკო სარბიელზედ მოქმედობენ და მთავარ-მინისტრი კრისპი ხომ ყველაზედ უწინარეს, იმ აზრისანი არიან, რომ ღონიერი და შეძლებული საფრანგეთი საჭიროა ევროპიის სასწორისათვისაო და ამათში უფრო გავლენიანი და სახელიანი კაცები ძალიან იწყენენ, თუ საფრანგეთი ხელ-ახლად დაჰმარცხდა, ან ჩამოერთვა კიდევ რამეო.

მაშ თუ ეგრეა, იტალია რად მიემხრო გერმანიას და შველა დაჰპირდა, თუ ვინიცობაა ომი აუტყდა საფრანგეთთანაო, იტყვიან? ეგ იმიტომაო, ამბობს დეპუტატი არბიბი, რომ გადიდგულებული საფრანგეთი 1870 წლამდე არაფრად იჩნევდა იტალიას, თითქო სახსენებლადაც არა ღირსო მაშინ, როდესაც გერმანიასთან ომში იტალიას შეეძლო კარგი ზურგი მიეცა საფრანგეთისათვისაო. ხოლო ყოველივე ეს დღევანდელი უკმაყოფილება იტალიისა და საფრანგეთ შორის დიდი არაფერია და მალე დავიწყებას მიეცემაო. ამიტომაც იტალიის დეპუტატი არბიბი ურჩევს საფრანგეთსა, ნუ აუჩქარდები გერმანიას და სამაგიეროს გადახდას თავი დაანებე დრომდე, ვიდრე «სამთა კავშირს» ვადა გაუვაო.

ვადა ამ სამთა კავშირს გაუვა 1892 წელსა და არბიბი ურჩევს იტალიასაცა და საფრანგეთსაც ისე მოიქცნენ, რომ ეს „სამთა კავშირი" ხელ-მესამედ აღარ შესდგეს და იტალია და საფრანგეთი, როგორც ერთისა და იმავე ნათესავობის ერნი, ერთმანერთს შეუერთდნენ. თუ საფრანგეთი მოურბილდება და მოუტკბილდება იტალიას და ტყუილუბრალოზედ აღარ აუტეხს რაღაც დავიდარაბასაო, უეჭველია 1892 წელს გერმანიასთან იტალია ერთად აღარ იქნებაო.

ეს კიდევ არაფერი, რომ იტალიაში ეს ამისთანა გერმანიისათვის უსიამოვნო აზრი ჰმუშაობს და ჰტრიალებს, თუმცა-კი ესეც ცოტად თუ ბევრად იმისი მომასწავებელია, რომ გერმანიას ევროპაში აბრუ უტყდება, ლილი-ხანა უფუჭდება. აბა ეხლა უყურეთ რას იძახის დღეს პატარა ბელგია, რომელიც გერმანიას აქამომდე თითქმის თავის ყურ-მოჭრილ ყმად ევულებოდა და გამოელოდა, რომ თუ ვინიცობაა საფრანგეთს მივესიე და გზა მომინდა, უღონო ბელგია გზას ვერ დამიჭერსო და თავის ქვეყანაზედ გამატარებს საფრანგეთში შესასევადაო.

---

# ფელეტონი

## სამეცნიერო ამბები

რა ხნისაა ჩვენი დედამიწა?—დედამიწა ჯერ ვარსკვლავივით ბრწყინავდა.—რა გამოიარა დედამიწამ?—რა ვანსაცდელი მოელის დედამიწას?—რამდენს ხანს კიდევ იცოცხლებს კაცობრიობა ამ ქვეყნად?—ნუ თუ სიცოცხლე სრულებით ჩაქრება?—ჩამქრალი დედამიწა და მზე.—დედამიწისა და მთვარის შეხეთქება.—დედამიწა მზეზე დაცემული.—დასასრული ჩვენის დედამიწისა.

იცით, რა ხნისაა ჩვენი დედამიწა?

მოხუცია, ძლიერ მოხუცი, ისე მოხუცი, რომ ათი და ასი ათასი წელიწადი სათქმელი არც-კი იქნება; გაცილებით მეტი სიცოცხლე მიუძღვის წინ, გაცილებით მეტი წელი აჰქევია კისერზე ამ ჩვენს დახავსებულს ბებრუცანას. ერთი დრო-კი ამასაც ჰქონდა, ერთს დროს ესეც იყო ახალგაზდა... მაგრამ სჯობს რიგზე გიამბოთ ჩვენის დედამიწის თავ-გადასავალი.

უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენს დედამიწას ახლო ნათესაობა აქვს მზესთან. იყო დრო, როდესაც არც მზეს და არც ჩვენს დედამიწას არა ჰქონდათ საკუთარი სახე, არც ერთსა და არც მეორეს განსაკუთრებული ალაგი არ ეჭირათ მსოფლიოში; უსახონი, უხილავნი ერთმანეთში იყვნენ არეულნი, ნისლსა და ბურუსში გახვეულნი, ბინდ-ბუნდით მოცულნი.

გაიარა დრომა და ხანმა, მზე და მიწა ერთმანეთს განშორდნენ. განცალკევებულმა დედამიწამ თავისი საკუთარი სახე მიიღო, მხოლოდ ისეთი გამორკვეული და დამთავრებული-კი არა, როგორსაც დღეს ვხედავთ. პირველად მიწა უფრო ბრწყინვალე, კაშკაშა ვარსკვლავსა ჰგვანდა. ამისი მიზეზი ის იყო, რომ მიწას საშინელი სიცხოველე ჰქონდა, ისეთი სიცხოველე, როგორც ახლად ცეცხლიდგან ამოღებულსა და გაელვარებულს რკინას. ასეთი სიცხე, ცხადია, თვით რკინასა და ქვასაც გაადნობს. ასეც იყო. მაშინ მთელი დედამიწა სიცხისაგან ისე იყო გალხობილი, როგორც ცეცხლზე გამდნარი ტყვია.

გამდნარის ტყვიის თვისება ხომ ყველამ იცის: ტყვია ნელ-ნელა ჰკარგავს თავისს სიცხოველეს, ცივდება. ჯერ ერთი პირი თხელი, დაჰმუჭნული კანი ეკვრება, მაგრამ შუაგული-კი ისევ ცხელია და გამდნარი. გარეგანი კანი თანდათან მატულობს და, რაც უფრო მეტად ცივდება, იმდენი სქელდება და ბოლოს გამდნარი ტყვია სრულებით გამაგრდება ხოლმე.

ასე მოუვიდა დედამიწასაც. ტყვიასავით გალხობილი და გაცხელებულ რკინასავით გაელვარებული დედამიწა ჯერ, მანამ ცხელი იყო, ვარსკვლავივით ბრწყინავდა. ხოლო დროთა ვითარების გამო სიცხოველემ თანდათან იკლო, ძალა დაჰკარგა, დედამიწა ნელ-ნელა გაცივდა და, როგორც გამდნარს ტყვიას, გარედგან ჯერ თხელი კანი გადაეკრა. რაც ხანი გადიოდა, დედამიწა უფრო ცივდებოდა და, მაშასადამე, გარეგანი კანი უფრო უსქელდებოდა.

**

რაკი დედამიწას მაგარი კანი გადაეკრა, ცხადია, ისე ვარსკვლავივით ველარ გაანათებდა, როგორც წინად ანათებდა, და პირვანდელი გაელვარებული სიცხოველეც მხოლოდ შუაგულში-ღა შერჩა. ვარსკვლავი ჩაქრა, ცეცხლს ფერფლი წაეფარა, ფერფლი გამაგრდა, მიწად იქცა. მიწაზედ ჯერ აღორძინდა მცენარე და მერე გაჩნდა ცხოველი, სულიერი არსება.

ბევრმა, ძალიან ბევრმა ხანმა გაიარა მას შემდეგ, რაც დედამიწაზე ეს ამბავი მოხდა. მეცნიერების გამოკვლევით, იმ დროიდამ დღევანდლამდე, სულ ცოტა რომ ვსთქვათ, 15 მილიონ წელს უნდა გაევლოს. მართლაც რომ კარგი ხანია!

ამდენს ხანს დედამიწა სულ ცივდება, შიგნიდამ ჰქრება და გარედამკი უფრო და უფრო სქელდება. ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ გამოუვლია დედამიწას, ბევრი რამ გადაჰხედია, დღესაც, ჩვენ თვალ-წინ ბევრნაირად იცვლება და შემდეგში უფრო კიდევ ბევრი რამ გადაჰხდება თავსა.

ჯერ ერთი, რომ მზე დღესაც ჰლალატობს მიწას და ნელ-ნელა აკლებს სითბოს, შემდეგში უფრო მეტად მოაკლებს და მოვა დრო, როდესაც ეს ჩვენი მანათობელი და სიცოცხლის მომცემი სრულიად პირს აარიდებს ჩვენს დედამიწას, და მეორე კიდევ, რომ თვით დედამიწაც დიდად იცვლის სახეს. წყლებს ჯერ დღესაც დედამიწა თანდათან იპარავს და შუაგულში იწურავს; რაც ხანი გავა, წყალი უფრო შეცოტავდება, ბევრს ადგილას სრულებით დაშრება; რაკი მზეც სითბოს მოაკლებს დედამიწას, ცის ნამიც შეიკვრება, მიწა გადახმება, მცენარე ამოვარდება და ყოველს სულდგმულს დედამიწის ზურგზე ნელ-ნელა სიცოცხლე მოესპობა.

რომ ეს სწორედ ასე მოხდება, მეცნიერებას ამის დასამტკიცებლად მაგალითი აქვს თვალ წინ, სხვა საბუთებსაც რომ თავი დავანებოთ. აი თუნდ ავიღოთ ვარსკვლავი მარიხი, რომელიც, როგორც არა ერთხელ გვითქვამს, ისეთივე ქვეყანაა, როგორიც ჩვენი დედამიწა. განსხვავება ამათ შორის მხოლოდ ის არის, რომ მარიხი უფრო პატარაა მიწაზე და უფრო დაშორებულია მზეზე. ამიტომაც მარიხი უფრო ძლიერ ცივდება და მალე ჰქრება, ვიდრე ჩვენი დედა-

ენდა-კი სახელ-განთქმული ემილ ლაველე „Indépendance Belge“-ში სულ სხვას მოგვითხრობს. იგი იმოწმება, რომ ბელგიის გული საფრანგეთისაკენ არისო და ამბობს: მინისტრმა ბრიალმონმა ნება დამრთო გამოვაცხადო, რომ თუ ვინიცობაა გერმანიასა და საფრანგეთს შორის ომი ასტყდა, ბელგიის მხედრობა უკანასკნელს წვეთს სისხლისას არ დაჰზოგავს, რომ არავინ გამოატაროს ბელგიის გზებსა და მიწა-წყალზედაო. ხათრიჯამი იყოს ამაზედ საფრანგეთიო.

ეს ამბები,—არა უმნიშვნელო დღევანდელის დღისათვის,—იმიტომ მოვიყვანეთ, რომ ბევრი საბუთი არა აქვს იმ ყვირილს, ვითომც საფრანგეთი დღეს განცალკევებულია და გარიყული. ტყუილად ატყუებენ გერმანელი გაზეთები თავიანთს თავსაცა და სხვასაც. საფრანგეთს თავისი მომხრენი და შემწენი ჰყვანან ევროპაში, იმიტომ-რომ უსაფრანგეთოდ ევროპა გერმანიის სათამაშო ბურთად შეიქმნება. ევროპა ამას თავის დღეში არ იკადრებს, თავის დღეში არ მოინდომებს. ეს გერმანიამ კარგად იცის და ვერა შეუბედნია-რა საფრანგეთისათვის. დღევანდელი ჭირი გერმანიისა ეს არის და იმაზედ ჰტრიალებს მისი პოლიტიკა, რომ რაც შეიძლება გვიან დაანახვოს სხვებსა ეს თავისი ჭირი, ან თვით ჭირმა გვიან იჩინოს თავი. ამიტომაც დღეს გერმანიის პოლიტიკა სახვალიოდ გადადებაა დღევანდელის ჭირისა და სხვა არაფერი.

## ახალი ამბავი

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ბ-ნ მარტიროსიანცის სტამბაში ამ ჟამად იბეჭდება პირველი წიგნი ბ-ნ დიმ. ზაქ. ბაქრაძის საქართველოს ისტორიისა, რომელიც სამს წიგნად გამოვა. ამბობენ, რომ ბ-ნის ბაქრაძის ახალი წიგნი შედგენილია მსოფლიო ისტორიასთან დაკავშირებითაო. ეს პირველი წიგნი შეიცავს 320 გვერდს.

*** წელს თებერვლის ოცს მანისტრთა კომიტეტმა დაადგინა და უმაღლესად დამტკიცებული იყო, რომ იმათ, ვისაც „პრიკაზში“ ჩაგირავებული აქვსთ ქალაქის მამულები, შეღავათი მიეცეს სესხის გადასახდელად. 26 ოქტომბერს ტფილისის სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში სხდომა ჰქონდა იმ კომისიას, რომელმაც ხელ-მეორედ უნდა დააფასოს პრიკაზში ჩაგირავებული ქალაქის მამულები. კომისიამ დაადგინა შეუდგეს ქალაქის მამულების ხელ-მეორედ დაფასებას ამ თთვის 29. შემდეგ ამ მეორედ დაფასების ქაღალდებსა და თავის დროზე წარმოდგენილ მსესხებელთა არზებს წარუდგენს ფინანსთა სამინისტროს. ამასთანავე ერთად წარდგენილი იქნება სახელმწიფო ბანკის აზრი იმის შესახებ, თუ რომელს მსესხებელს რა შეღავათი უნდა მიეცეს. ვინც ერთის წლის განმავლობაში, სახელდობრ, ამ წლის 25 ივნისიდგან მომავალის წლის 25 ივნისამდე, თხოვნას არ შეიტანს აქაურს სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში, უმაღლესად ნაბოძები შეღავათი იმათს მამულებზე გავრცელებული არ იქნება.

*** ამ დღეებში სხდომა ჰქონდა კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭოს, ქალაქის თავის ბ-ნ მატინოვის თანადასწრებით. საბჭოს ლაპარაკი ჰქონია სამეურნეო გამოფენის შესახებ, რომელიც ტფილისში უნდა გამართონ მომავალს წელს. საბჭოს განუზრახავს გამოფენისათვის გამოიყენოს პავილიონი და ის შენობები, რომლებიც მუშტაიდში ააშენა ქალაქმა მათ უდიდებულესობათა პატივსაცემლად. ყველა ეს შენობები უნდა გადაიტანონ თავისუფალს ადგილას, ტრამვაისა და უცხო ნიადაგის მცენარის მოსაშენებელ ბაღს შუა.

*** თელეთი: ჩვენს პაწია და განახევრებულს სოფელში აურზაური და ჩხუბი იშვიათი ამბავი არ არის. იშვიათი-კი არა, ისეთი ხშირია, რომ ჩვენს მოსამართლესა და საზოგადოდ ჩვენის სოფლის მოხელეებს თავ-საყრელი საქმე აქვსთ. ამდენს საქმესთან ჩვენს ბოქაულ-მოსამართლეს ერთი თავ-სატეხი საქმე კიდევ მიემატა. ერთის სიტყვით, „ჯოჯოხეთს ერთი მუგუზალი აკლდა და ისიც შეუკეთესო“ რომ ამბობენ, სწორედ ისე დაემართა. ეს საქმე ამ თთვე ნახევრის წინად მოხდა, მაგრამ აქაურებს-კი ჭირსა და ლხინშიაც იმის მეტი სალაპარაკო სხვა აღარა აქვსთ-რა და აღარა გააჩნიათ-რა. აი ეს ამბავი: საღამო ხანზედ, მარიამობის თთვეში, სოფელზედ ერთმა კაცმა ცხენით ჩამოიარა, უკან ლამაზად და კოპწიად მორთული ქალი უჯდა და მოჰყავდა. ამ კაცმა, როგორც შემდეგში აღმოჩნდა, სოფელ დურნუკის მამასახლისმა, ცხენი სოფელზე გადაატარა, სოფლის თავის ხევისაკენ. ბანზე მსხდომმა სოფლის დედაკაცებმა მისძახეს, რომ ქალაქის გზა მანდეთ არ არის, გვერდზედ უნდა ჩაიაროვო. მხედარმა ხელი დაიქნია, ვითომ-და ხათრიჯამად იყავით, მე ვიცი სადაც მივდივარო. ეს იყო და ეს. მას შემდეგ გაიარა რამდენმამე დღემ, ჩამი-ჩუმი მისწყდა და სახსენებლადაც აღარ მოუხსენებიათ ზემოხსენებული დურნუკის მამასახლისი. ორის კვირის შემდეგ სოფლის პატარა ბიჭი ხევში დაკარგულს ძროხას ეძებდა და ერთის ქვების გორხანის ქვეშ დაინახა თურმე წითელ-ყვითელის ფერის რაღაცა ნაჭრები. შეყო ხელი, გამოსწია და ჰნახა თურმე, რომ ქალის კაბაა და ქვებ ქვეშ ვიღასიც უსულო გვამია. შეშინებული მივიდა მაშინვე დედასთან და უამბო. დედამ დაარიგა, ნურავის ეტყვი, შვილო, ჩვენ არა შეგვწამონ-რაო, მაგრამ ადამის შემდეგ ჯერ რომელს დედათა სქესისას დაუფარავს საიდუმლო, რომ თითონ ამ დამრიგებელს დაეფარა ეხლა.

გავრცელდა ეს ამბავი მთელის სოფლის ოთხ-კუთხივ, მოვიდა მოსამართლე და მამასახლის-ბოქაული და ჩავიდნენ ხევში ჭეშმარიტის შესატყობლად. გადაჰშალეს ქვები და მართლაც იპოვნეს დამრჩვალი მშვენიერა ახალგაზდა, 19—20 წლის ქალი. ქალი, როგორც ეტყობოდა, დარჩობილი იყო, ყელზე შემოჭერილი ჰქონდა ქალალაის ხელსახოცი და თოკი. ზედვე ჰქონდა შუბლის ქინძისთავი, ბეჭედი და საყურეები. ასე რომ, როგორც მკითხველიცა ჰხედავს, დამრჩობელს ქალის გაცარცვა-კი არა სდომებია, იმის ამ ქვეყნიდგან გამოსალმებასა ყოფილა მოწადინებული.

ეს ქალი ქალაქელი ყოფილა, დედის-ერთა, დურნუკელ მამასახლისს შეურთავს ამ ერთის წლის წინად პირველ ცოლის გარდაცვალების შემდეგ. როცა უსულო გვამის სანახავად წავიდნენ, მაშინ მგელს მიესწრო და ბარძაყები გამოეჭამა, ასე რომ ქალს ზედა ტანი, თავი და მხრები-ღა ჰქონდა შერჩენილი. მოსამართლემ ოქროული აცალა და შეინახა, ხოლო იმისი ზოლი ლურჯ-თეთრი კაბა ეხლაცა ჰფრიალებს სოფლის ღობეზე. ხმა დადის, რომ ეს ქალი იმ ორის კვირის წინად დედასთან ყოფილა ქალაქს, შემდეგ ქმარს ჩაუყვანია სოფელში და ისევ წამოუყვანია. დურნუკელებს უნახავსთ, როცა ბინდისას მამასახლისს ცოლი სოფლიდგან გამოუყვანია ცხენით. მეორე დილაზედ მამასახლისი სოფელშივე ყოფილა და, როცა უკითხავსთ—ცოლი რა უყავიო, უთქვამს, რომ გამექცაო. ამ კაცს პირველი ცოლიც ასევე ნანაჯოგად დაჰკარგვია. თელეთელ მენახირეებს იმ ღამეს რაღაც ხრიწნიანი ხმა გაუგონიათ, ხრიალი, მაგრამ ნადირი ჰგონებიათ, შეშინებიათ და განსაკუთრებული ყურადღება არ მიუქცევიათ. ამბობენ კიდევ...მაგრამ რას არ ამბობენ, ვინ იცის და ვინ მოიგონებს. ეხლა ამ საქმის გამოსაცხარებული გამოძიებაა ჯერ არაფრით არის დამტკიცებული ქმრის ბრალი, არც-კი დაუპატიმრებიათ მამასახლისი და ამიტომ არას ვიტყვით.

*** თელავი: შუა-დღისას შიგ შუა ქალაქში თოფების სროლა და ერთმანეთის დევნა ხანჯალ-დანებით მგონი არსად არ არის მისატევებელი და ნება-დართული, თელავს გარდა. მოწესენი მაინც მოვალენი არიან ამ გვარ რაინდების თავ-გასულობას სასტიკად მოექცნენ და შესაფერი ღონეც იღონონ იმის მოსასპობლად. გარდა ამისა ღამე თავისუფლად ნავარდობა იმავე რაინდებისა არც ერთ ოჯახის მეპატრონესათვის არ არის სასიამოვნო, მაგრამ მაინც ამ უკვანობის ყურის-მგდებელი არავინ არის. ნავარდობენ აქაური გმირები და ისე გაუვიდათ თავი, რომ თვით მაზრის სამართველოს ირგვლივ სახლებიც-კი აღარ მოასვენეს. სახლების დამტვრევასა და ნივთების დაკარგვას ჯანი გავარდეს, თელავის საყასბოდ გადაქცევა-კი მეტის მეტია. ერთს კვირაზე თელავში ექვსი კაცი დახოცეს, მივარდნილ ქუჩა-უბნებში-კი არა, შარა გზებზე, შიგ ქალაქში. მოდი და ნუ იტყვი, რომ თელავი ყოვლად უპატრონოდ არის მიგდებულიო.

*** ქ. ზუგდიდიდგან სწერენ „Нов. Обоз.“-ს: 2-ს ოქტომბერს დაიწვა სახლი, რომელშიაც იმყოფებოდა წელენჯიკის განყოფილების სასამართლო. დაიწვა აგრეთვე საქმეები და მომრიგებელ-მოსამართლის ნივთები. ამ საქმის გამოსაძიებლად ქუთაისიდგან ჩამოვიდა 8 ოქტომბერს ბ-ნი ლევაშოვი, მაგრამ გვიან-ღა იყო. ამიტომაც გამოძიებამ ვერ აღმოაჩინა ცეცხლის გაჩენის მიზეზი.

## რუსეთი

შინაგან საქმეთა სამინისტროში იუსტიციის სამინისტროსთან მორიგებით საბოლოოდ შეუმუშავებიათ წესები, რომელთაც აზრადა აქვსთ გლეხთა დაცვა და დაფარვა სხვა-და-სხვა კერძო ვექილთა ძარცვა-გლეჯისაგან. გუბერნატორებს ეძლევათ უფლება, რომ იმათ, რომელნიც გლეხებს აქეზებენ უსაფუძვლო საჩივრებისა და დავაძიების დაწყებისათვის, აეკრძალოთ გლეხთა საზოგადოებათა ვექილობა და იმათის სახელით თხოვნებისა და საჩივრების წერა. გუბერნიის გლეხთა საქმეების სასამართლოთ ევალად დაედებათ, რომ ნება არ მისცენ გლეხებს გლეხთა საზოგადოების საქმეების შუამავლად ყოფნისა, თუ განსაკუთრებული ნება-რთვა არა აქვსთ გუბერნატორებისაგან. ხოლო კერძო ვექილობის განსაკარგებლადა და უმთავრესად მდაბიო ხალხის გავექილებულთა ყველაფრისაგან დასაცველად განზრახვა აქვსთ დააწესონ, რომ ვისაც სასამართლოებში გლეხთა საქმეთა საწარმოებლად სიარულის მოწმობა ჰსურსთ აიღონ და იურიდიული სწა-

---

მიწა, და აი რა არის იმისი მიზეზი, რომ მარიხზე წყალი ძალიან შეცოტავებულია შედარებით ჩვენს დედამიწასთან: ჩვენს დედამიწაზე ჯერ კიდევ წყალი მაინც მეტია ხმელეთზე და მარიხისა-კი ნახევარი-ღა უჭირავს მხოლოდ წყალს, დანარჩენი ხმელეთია.

ჩვენ მაინც ისევ ჩვენს დედამიწას დავუბრუნდეთ.

დიაღ, იმას ვამბობდით, რომ წყლება დედამიწაზე თანდათან დაშრებაო. ბოლოს და ბოლოს თუნდა მაინც დარჩეს რამე წყალი, ისიც ყინულად გადიქცევა და დედამიწა გაიყინება, რასაც-კი სიცოცხლის ნიშანი კიდევ ედება, ყველაფერი მოისპობა, ამოვარდება,—ერთის სიტყვით, დედამიწა გაყინულ, აოხრებულ უდაბნოს დაემსგავსება, მკვდრების ქვეყნად, ერთს უზარმაზარ, ცივ და ბნელ სამარედ გადიქცევა.

**

ნუ გეფიქრებათ, ჯერ კიდევ კარგა ხანი გავა, ვიდრე ჩვენს დედამიწას ბოლო მოეღება. მართალია, დაბერებულია ჩვენი დედამიწა და ძლიერაც არის დაბერებული,—15 მილიონი წელიწადი სიცოცხლე ხუმრობა ხომ არ არის!—მაგრამ გულში ცეცხლი მაინც კიდევ უღვივის. რა ვუყოთ, რომ ეს ცეცხლი გარეთ ვერ ატანს და ვერას ჰშველის! უამისოდაც ზურგი მაგარი აქვს! ვიდრე მზე მზეობს,—ათბობს და ანათებს —არც დედამიწას მოაკლდება სითბო-სინათლე.

ხოლო მოგეხსენებათ, რომ ქვეყანაზე დაუსრულებელი არა არის-რა. მზესაც ადრე თუ გვიან გამოელევა ის ცხოველი ძალა, რომელიც ყველას აღორძინებს და ასულდგმულებს.

მალე მოხდება ეს ამბავი?—ამის პასუხად აი რას გეტყვით. მზე დღეს ისეთივე ვარსკვლავია, როგორიც იყო ჩვენი დედამიწა, ვიდრე გარეთი კანი გადაეკვრებოდა. ამიტომაც ასე განუწყვეტელი სითბო და სინათლე აქვს მზეს. მაგრამ მოვა დრო და მზეც გაცივდება და იმდენად გაცივდება, რომ გარედგან მაგარს კანსაც გადიკრავს. ამ გვარად მზე ჩაქრება და, რასაკვირველია, ქვეყანას ველარც გაანათებს, ველარც გაათბობს.

ეს როდის-ღა მოხდება? — რასაკვირველია, არა დღეს და არა ხვალ,—სულ რომ ცოტა ავიღოთ, ერთი ათი მილიონი წელიწადი მაინც გაივლის კიდევ, ვიდრე მზე სრულებით ჩაქრება. 10 მილიონი წელიწადი ისეთი თვალ-გადუწვდენელი დროა, რომ შეგვიძლიან გულ-არხეინად ვიყოთ. როდის რა იქმნება! მხოლოდ შემდეგი-კი უნდა ვიქონიოთ სახეში.

მეცნიერებას შეუძლიან შეიტყოს არამც თუ მარტო ის, თუ როდის ჩაქრება სრულებით მზე, არამედ ღონისძიება აქვს გამოიანგარიშოს ისიც, თუ წელიწადში რამდენს სითბოსა ჰკარგავს მზე. თუ ამის გამოანგარიშება შესაძლისია, ცხადია, იმის გაგებაც ადვილი იქნება, თუ მზეს რამდენის ხნის შემდეგ ექმნება ნახევარი, ან ნაოთხედი - ღა იმისი, რასაც დღეს ათბობს და ანათებს. იგივე მეცნიერება გვეუბნება, რომ ეს ორის, ან სამის მილიონის წლის შემდეგ იქმნებაო.

ეს გარემოება ყურადღების ღირსია, და აი რადა. მოგეხსენებათ, რა დიდი გავლენა აქვს სითბოსა და სინათლეს ყოველ ცხოველ არსებაზე. საკმაოა ცოტაოდენი რამ ცვლილება მოხდეს მზესა და დედამიწას შორის, რომ მაშინათვე ყოველმა სულდგმულმა ფერი იცვალოს. აი თუნდ, მაგალითად, ზამთარში: შეჰხედეთ, როგორი ფერი დაედება ხოლმე მთელს ბუნებას, როგორ ძილს ეძლევა! რა მოხდა? ბევრი არაფერი,—მზე მხოლოდ ცოტაოდნად გადიხარა. აბა გაზაფხულზე ისევ არ დაბრუნდეს და სწორე თვალით არ გადმოჰხედოს დედამიწას,—გაიღვიძებდა მიძინებული ბუნება, თუ არა?

თუ დღეს ასეა, რაღა იქმნება მაშინ, როცა მზეს ნახევარზე მეტად სითბო დაეკარგება? მაშინ, რასაკვირველია, ადამიანი, როგორც მაღალის ბუნებისა და აგებულების ცხოველი არსება, ყველაზე მეტად იგრძნობდა ასეთს ცვლილებასა და ვერც აიტანდა:—სიკვდილი აუცილებელი იქმნებოდა, ადამიანი დედამიწის ზურგიდამ აღიფხვრებოდა. და მზე ხომ, როგორც ზემოდ მოვიხსენიეთ, ორის სამის მილიონის წლის შემდეგ იცვლება ამ გვარად. მაშასადამე, ადამიანმაც ბევრი-ბევრი ორი-სამი მილიონი წელი იცოცხლოს ქვეყნად.

მერე? ნუ თუ სიცოცხლე სრულებით ჩაქრება, ადამიანის ხსენებაც-კი ამოვარდება, კაცობრიობას სამუდამოდ მოეღება ბოლო?! არა, ეს შეუძლებელია! უნდა იყოს სხვა ქვეყანა, სხვა საცხოვრებელი, სხვა სიცოცხლე. შეჰხედეთ, რა თვალ-გადუწვდენელია ცა და ქვეყანა,—ნუ თუ არ მოიპოვება სხვა ქვეყანა ჩვენის დედამიწისთანა?!

**

ჩვენი დედამიწა,—ამას რაღა მოუვა, როდესაც ადამიანს სრულიად ამოიჭამს და მოიშორებს? ადამიანის სიკვდილით სიცოცხლე სრულებით არ მოისპობა დედამიწაზე. ზოგიერთი ცხოველი და მცენარე კიდევ იღონღიალებს, ვიდრე მზეს ცოტაოდენი სიცოცხლე მაინც ექმნება. როდესაც მზე სრულებით ჩაქრება, დედამიწაზედაც ყოველიფერი გათავდება. დედამიწა საზარელი სანახავი იქმნება: იქ, სადაც სიცოცხლე სდუღდა, სამარის სიჩუმე ჰსუფევს, ცივა და სიბნელე ჩამოწოლილა. გაყინული, მკვდრის ზეწრით შემოსილი და ბნელით გარემოცული დედამიწა ძველს ჩვეულებაზე ისევე გარშემო უვლის მზეს; მხოლოდ მზეც უწინდელი ბრწყინვალე ვარსკვლავი, სიცოცხლის მომცე-

ელა-განათლება-კი არ მიუღიათ, ეგზამენი უნდა დაიჭირონ ოლქის სასამართლოებსა და სამოსამართლო პალატებში. ამისთანა კერძო რწმუნებულთა და ვექილთ უნდა მოეთხოვებოდესთ, რომ ყოველ ცალკე გლეხთა საქმეზე, რომლის წარმოებაც უკისრნიათ, შესაბამს სასამართლოში წარადგინონ გლეხთა საზოგადოების განაჩენი, მაზრის გლეხთა სასამართლოს მიერ დამტკიცებული და დასაბუთებული. გლეხთა საჩივრების ჩასაწერად უნდა შემოღებულ იქმნას ცალკე წიგნები სოფლის სასამართლოებსა და საზოგადო საადმინისტრაციო დაწესებულებებში. საზოგადო სასამართლოებშიაც ზოგიერთი შეღავათი უნდა მისცენ გლეხებს.

— რუსეთის საიმპერატორო საგეოგრაფიო საზოგადოებას მომავალს 1889 წელს გარდაწყვეტილია ფულად შემწეობა მიეცეს მთავრობისაგან 21,000 მან. ამ ფულში 15,000 პეტერბურგისას და დანარჩენი საზოგადოების აღმოსავლეთ-ციმბირისა, დასავლეთ-ციმბირისა და კავკასიის განყოფილებათ, თითოეულს 2,000 მან.

— შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაუწყვეტია, რომ მომავალს 1889 წელს ფულად შემწეობა მისცეს: ტფილისის თეატრს 42,195 მან., ვარშავისას—30,000 მან. და დასავლეთ გუბერნიებისას—18,000 მან. ამას გარდა ვარშავის სამუსიკო ინსტიტუტს უნდა მიეცეს 7,600 მან., სამუსიკო კონსერვატორიებს რუსეთის სამუსიკო საზოგადოებისას: პეტერბურგისას—15,000 მან. და მოსკოვისას—20,000 მან. და აგრეთვე სამუსიკო სასწავლებლებს ამავე საზოგადოებისას კიევისა, ხარკოვისა და ტფილისისას თითოეულს 5,000 მან.

— პროფესორი ს. პ. გლაზენაპი აუწყებს გაზ. „Нов Вр."-ას, რომ 18 ოქტომბერს ჩრდილო-ამერიკის შეერთებულს შტატებში, ახლად დაარსებულს ჯემს ნიკის ობსერვატორიაში, ვარსკლავთ-მრიცხველმა ბერნარდიმ აღმოაჩინა კუდიანი ვარსკვლავი; ეს კუდიანი ვარსკვლავი სუსტადა სჩანს და აღუჭურველის თვალისათვის დაუნახავია. კუდიანი ვარსკვლავი იმყოფება ჰიდროს თანავარსკვლავედში, ბრწყინვალე სირიოს სამხრეთ ჩრდილოეთით. კუდიანი ვარსკვლავი ჩრდილოეთისაკენ მიდის. ეს მეორე კუდიანი ვარსკვლავია ბერნარდოს მიერ აღმოჩენილი ამ წელსაო.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** 17 ოქტომბერს ფრანგთა და ამერიკელთა კავშირის წევრთა იდღესასწაულეს მეორე წლის თავი ნიუ-იორკში თავისუფლების სადიდებლად აღმართულის ქანდაკებისა. ამის გამო ბანკეტი იყო გამართული და ამ ბანკეტზე საგარეო საქმეთა მინისტრმა სიტყვა წარმოსთქვა. აი სხვათა შორის რა სთქვა გობლემ:

„სხვა დროს, ბატონებო, როცა ჩვენში ჰზრუნავდნენ, საგარეო პოლიტიკაში გამოვიჩინოთ თავიო, და თითქმის სრულიად მიტოვებული ჰქონდათ ზრუნვა შინაობაში კეთილდღეობის დამყარებისათვის, საფრანგეთს პირველი ადგილი ეჭირა ევროპის სხვა სახელმწიფოთა შორის, საფრანგეთის ბედი ჰშურდათ, საფრანგეთისაგან წყალობას ელოდნენ, საფრანგეთს უფრთხობდნენ კიდეც. მას უკან დაიწყო ჩვენი უბედურება, მას უკან მოვდივართ და მოვსტირით ჩვენს ბედს, მას უკან დრონი იცვალნენ: შური და მტრობა ახვევია გარს ჩვენს სამშობლოს, უსამართლოდ სდევნიან საფრანგეთს, ბრალსა სდებენ და იმისი მარტოდ დარჩენა სიცილად არ ჰყოფნისთ. მაგრამ საფრანგეთი ეხლა წელში გასწორდა, მის თავზე დატრიალებული უბედურება აიცილა და დღეს აღარც უფრთხის და აღარც უჩივის თავისს ყოფას, რადგან იცის და დღითი-დღე უფრო ძრიელა ჰგრძნობს, რომ ამისთანა ყოფას ადრე თუ გვიან ბოლო მოეღება. მოვა დრო, რომ საფრანგეთი, რესპუბლიკის მფარველობით, კვლავ დაიბრუნებს თავისს დიდებას, მაშინ ჩვენი სამშობლო არ დაივიწყებს თავისს მეგობრებს, არ დაივიწყებს იმ კეთილის-მყოფელთ, რომელთაც სამარცხვინოდ არ მიაჩნდათ იმისი მოყვრობა და არც ცილსა სწამებდნენ, როცა ავსა და შავს დღეებშივე იყო. თქვენ, ბატონებო, იმ მეგობართა და მოყვარეთაგანი ბრძანდებით; თქვენ დიდის თავაზით გვიქცევით. გეტყობათ, რომ თქვენ სხვა ქვეყნიდამა ბრძანდებით, უფრო ახალისა და ნორჩის ქვეყნიდამ, ვიდრე ჩვენი ქვეყანაა. თქვენ არ დაგვიწყებიათ ის პატივისცემა, რომელიც, ვინ იცის, როდის გეცით, ის ბრძოლა, რომელშიაც ჩვენც ვიღებდით მონაწილეობას ამ ასის წლის წინად თქვენის განთავისუფლებისათვის. ამ გრძნობით გამსჭვალულებმა თქვენ ორის წლის წინად აღმართეთ მშვენიერი ქანდაკება თავისუფლებისა, ნაკეთები ჩვენის მეგობარის ბარტოლდის მიერ. თქვენ მარტო ამ გვარის ძეგლით არა სცდილობთ საუკუნოდ ჰყოთ ძვირფასი ხსენება დროთა წარსულთა. თქვენ გულშიაც ღრმადა გქონდათ ჩაჩნეული იგი ხსენება და სცდილობთ მოზარდს თაობასაც გადასცეთ თქვენთა მამა-პაპათაგან ნაანდერძევი გრძნობანი მადლობისა და მადლიერებისანი. კეთილშობილური გრძნობანია, ბატონებო, ეგ გრძნობანი და, ვინც რა უნდა სთქვას, მოვალენი ვართ ვზარდოთ და ვაფუფუნოთ ჩვენს გულში მაგრეთი მაღალი გრძნობანი. რაიცა შემეხება კერძოდ მე, მრწამს და მჯერა, რომ პოლიტიკაშიაც-კი საზარალო არ არის იმათთვის, ვისაც ეგ გრძნობანი თავისს გულში დაუნერგია. თქვენ ემზადებით სხვაფრივ კიდევ დაგვიმტკიცოთ თქვენი მოყვრობა 1889 წელს გასამართავის მსოფლიო გამოფენის გამო; ამ გამოფენაში, დარწმუნებული ვარ, ყველა ერნი მიიღებენ მონაწილეობას, მაგრამ თავისუფალს ამერიკას-კი უთუოდ პირველი ადგილი ეჭირება... ის აუარებელი ფული, რომელიც თქვენმა პარლამენტმა გადასდო, ცხადად ამტკიცებს, რა დიდი მონაწილეობა გინდათ მიიღოთ ჩვენს გამოფენაში და დაამშვენოთ მათნი განყოფილებანი ვაჭრობისა, მრეწველობისა, ხელოვნებათა და მეცნიერებისანი. წავიკითხეთ ამას წინად კეთილშობილურნი სიტყვანი, წარმოთქულნი ამის გამო თქვენთა მჭევრმეტყველთა კაცთა მიერ კონგრესზედ. ოჰ, დიდად სამართლიანად და მიუკერძეელად სჯიდნენ ისინი ჩვენის სამშობლოს შესახებ! ოღონდაც, რომ ადვილი საქმე არ არის, ბატონებო, თავისუფლების სამეფოს დამყარება ასეთ დაძველებულ ნაანდერძევით სავსე ქვეყანაში! მაგრამ ხომ ჰხედავთ ჩვენს მეცადინეობასა და ხომ ადევნებთ თქვენს ბედნიერს თვალს ჩვენს გამუდმებულს მუშაობას. საფრანგეთმა უარ-ჰყო სახელი და დიდება, ომიანობითა და ლაშქრობით მოხახვეჭი, საგნად აქვს მხოლოდ თავისის სვე-ბედის განკარგება, თავისთა მკვიდრთა კეთილდღეობა, თავისთა ძეთა შორის უმეტესის სამართლიანობის დამყარება. და აი ილვწის ეს ქვეყანა დაუღალავად, მოუსვენელივ, რათა განამტკიცოს ის სარესპუბლიკო წესწყობილება, რომელიც მუდამ თქვენიც იყო. საფრანგეთს სწყურიან მშვიდობიანობა: მშვიდობიანობა უნდა ქვეყანას თავისის საქმის გასაკეთებლად. რომ მართლა გულ-წრფელად ჰსურს მშვიდობა და კიდევ მშვიდობა, ამას იმითი ამტკიცებს, რომ ასეთს დიდსა და მეტად დიდს მზადებაშია დიდებულისა და მშვიდობიანის კამათობისათვის. ამ კამათობისათვის მოწვეულნი არიან ყველა ერნი განათლებულის ქვეყნებისანი. ნეტავ რაღად-ღა უნდა იხარჯებოდეს ამავე დროს ამდენი აუარებელი ფული და ქონება სამხედრო სამზადისისათვის—ამ სახელისა და უვნებლობის უსაჭიროესის დარაჯისათვის; თქვენი ყოფა უკეთესია ამ მხრივ და ამიტომ თქვენთვის საჭირო არ არის ანგარიში გაუსწოროთ საშიშარს მეზობლებს. თავისუფლებისა და უვნებელობის მოწყალებით თქვენი დიდი და ვრცელი ქვეყანა თანდათან იშრობს თავისს ვალს და ძლიერი აღმაფრენა თქვენის სიმდიდრისა და კეთილდღეობისა განუწყვეტლივ ძლიერდება და ძლიერდება. ბედნიერია ამერიკა, ბედნიერია იმიტომ-რომ გარედგან შიში არა მოელის-რა და უკეთუ, როგორც შეეფერება თავისუფალს ერს, საპოლიტიკო დასნი ეცილებიან ერთმანეთს ქვეყნის მართვის უფლებასა, შინაურ მტერთაგან ხომ მაინც არ ეჭირება დაიფაროს და დაიცვას თვით პრინციპიცა, თვით დედა-აზრი თავისთა დაწესებულებათა".

ორატორმა გაათავა თავისი სიტყვა და დალია სადღეგრძელო ამერიკის შტატების პრეზიდენტის კლიველანდასა. ამერიკის წარმომადგენელმა პარიჟში მაკ'ლენმა პასუხად პრეზიდენტის კარნოს სადღეგრძელო დალია. სადღეგრძელოს დალევამდე წარმოსთქვა შემდეგი:

„ყველა დიდებულნი ჭეშმარიტებანი, რომელნიც უდევს საფუძვლად დღევანდელს საზოგადოებრივს წესწყობილებას, საფრანგეთის გენიოსობამ დაჰბადა და მოჰფინა მთელს ქვეყნიერობას თავისის სალიტერატურო და საფილოსოფოსო ქმნილებათა შემწეობით. ჩვენ დიდის აღტაცებით მივიღეთ და შევითვისეთ ის ჭეშმარიტებანი და მას აქეთ დაუღალავად ვიღვწვით იმათის ზრდისა და განხორციელებისათვის. ყველა ჩვენი კონსტიტუციები, მთელი ჩვენი კანონ-მდებლობა მხოლოდ იმაზეა მიმართული, რომ ერთად მოათავსოს ძნელად მოსათავსებელი თავისუფლება თითოეულისა და მოვალეობა იმისივე ყოველთა წინაშე და თუ ჩვენ მოვახერხეთ რამე ამ დიდს საქმეში, ვერ დავივიწყებთ, რომ თესლი იმისი ჩვენ საფრანგეთიდამ მოვიტანეთ და რომ საფრანგეთის მახეილმა გაავლო ის კვალი, რომელმაც აღმოაცენა იგი. თუ მართალია, რომ მერმისი დემოკრატიას ეკუთვნისო, შესაძლოა დაჭეშმარიტებითა ვსთქვათ, რომ ეხლანდელი ქვეყნიერობა ტრიალებს იმ წრეში, რომელიც მოხაზულია საფრანგეთისა და ამერიკის მიერ".

## წვრილი ამბები

ფილოსოფოსის გეგლის ნაშთნი ამ დღეებში გადაუტანიათ ბერლინს, ახალს სამარეში, სადაც ძეგლი უნდა აუგონ.

— გლადსტონმა პირველმა უნდა იხმაროს თურმე ედისონის ფონოგრაფი პოლიტიკაში. დიდს მიტინგზე, რომელიც დანიშნულია ბირმინგამში ირლანდიის თვით-მართველობის მომხრეთა სასარგებლოდ, ლიბერალთა დასის მეთაური სიტყვას წარმოსთქვამს. ამ სიტყვის გადასაღებად რამდენიმე ტელეფონი იმუშავებს, ხოლო იქვე მომართული იქნება ფონოგრაფი, რომელმაც ამ გა-

მი მნათობი-კი აღარ არის,—არა, ესეც ისევე დაღვრემილი და ბნელით გარემოცულია, როგორც დედამიწა.

ბევრი, კიდევ ბევრი, იქნება მილიონობით წლები გაივლის და გაქვავებული და გაშავებული დედამიწა ამ გვარად იტრიალებს მზის გარშემო. ამ გაუთავებელს, ერთ გვარს ტრიალში დედამიწას მხოლოდ ერთხელ მოუხდება აუცილებელი და საშინელი შეხეთქება. ეს მაშინ მოხდება, როდესაც გზაში შეჰხვდება მთვარე და საშინელის ძალით დაეჯახება. ამ შეჯახებას ვერც დედამიწა და ვერც მთვარე ვერ ასცდებიან და აი რატომ.

დედამიწა, როგორც მოგეხსენებათ, ერთს წელიწადს ანდომებს მზის გარშემო შემოვლას. გზა შორს და თვალგადუწვდენელს ცის სივრცეში მიდის. ვიდრე ამ გზას გაივლის, დედამიწაზე უთვალავი, აუარებელი რიცხვი პატარა სხეულებისა ჩამოცვივა ხოლმე. ყველას გენახვებათ თქვენის საკუთარის თვალით, როდესაც ეს სხეულები სცვივა. მხოლოდ ჩვენ ვიტყვით ხოლმე,—ვარსკვლავი ჩამოვარდაო, რადგან გვგონია, რომ მართლა ვარსკვლავები სცვივა დედამიწაზეო. აი, სწორედ ეს ვარსკვლავები ის პატარა სხეულებია და ამ სხეულებს მეცნიერებაში „მეტეორიტი" ჰქვიან სახელად. ეს „მეტეორიტი" პატარ-პატარა ნაჭრებია ისეთისავე ქვეყნისა, როგორც ჩვენი დედამიწა, მხოლოდ ეს ქვეყანა როდისღაც, რაიმე მიზეზის გამო, დამსხვრეულა, ლუკმალუკმად ქცეულა, და აი ამის მოწყვეტილი ნაჭრები, „მეტეორიტები", დაიარებიან მას შემდეგ უგზო-უკვლოდ ცის სივრცეში. როდესაც გზაში შეჰხვდებიან რომელსამე თავისზე დიდს სხეულს, მაშინვე ზედ დაეცემიან ხოლმე, რადგან დიდი უფრო სძლევს და თავისკენ იზიდავს.

ზოგს ალაგას ეს მეტეორიტები იმდენი სცვივა ხოლმე ერთბაშად, რომ ადამიანს ეგონება, წვიმა მოდისო. მეცნიერები გვარწმუნებენ, რომ დედამიწაზე წელიწადში 140—150 ათასი მილიონი „მეტეორიტი" ჩამოვარდება. ეს მეტეორიტები მთვარეზედაც, რასაკვირველია, ბლომადა სცვივა. მართალია, „მეტეორიტები" ძალიან პატარა სხეულებია, მაგრამ როდესაც წელიწადში ასი ათას მილიონობით მოდის, ცხადია, რომ ასე თუ ისე სიმძიმესა და სიდიდეს მოუმატებს იქ, სადაც ეცემა. მაშასადამე, ჩვენს დედამიწასაც და მთვარესაც ცოტად თუ ბევრად სიდიდე და სიმძიმე მოემატებათ, და რამდენადაც უფრო იმატებენ, იმდენად უფრო ძლიერ მიიზიდვენ ერთი-ერთმანეთს. მაშასადამე, მიწაცა და მთვარეც თანდათან მიიზიდავენ ერთმანეთს, დაუახლოვდებიან, და რადგან მიწა უფრო დიდია, ამიტომ უფრო მეტის ძალითაც იზიდავს თავისაკენ მთვარეს. ბოლოს საქმე იმითი გათავდება, რომ მთვარე დედამიწასთან ძალიან ახლოს მივა და შეეხეთქება.

ტალს რომ კვესი ჩამოჰკრა, ნაპერწკლები გასცვივა. ასევე მოხდება მიწისა და მთვარის შეხეთქების დროს. ხოლო ამ შეხეთქებას ისეთი დიდი ძალა ექმნება, რომ მიწა სულ ერთიან ცეცხლად იქცევა, გაღვარებულს რკინასავით ნაპერწკლებს გაჰყრის და ცაში კაშკაშა ვარსკვლავივით გაანათებს, როგორც ერთხელაც ანათებდა.

ხოლო ეს ვარსკლავა დიდს ხანს-კი არ იკაშკაშებს, ბევრი-ბევრი თუ რამდენსამე კვირას გასტანა. ამის შემდეგ ეს გაკაშკაშებული ვარსკვლავი ისევ იმ გაყინულ, სიკვდილითა და ბნელით მოცულ დედამიწად გადიქცევა, როგორიც იყო, და ისევ უწინდებულად იტანტალებს თავისს გზაზედ: მთვარეც ხომ აღარ შეუშლის ხელსა.

**

გაივლის კიდევ რამდენიმე მილიონი წელიწადი. მიწა თანდათან მზეს დაუახლოვდება. ამ დაახლოვების მიზეზი იგივე „მეტეორიტები" იქმნება. მზეზედაც სცვივა „მეტეორიტები", მხოლოდ გაცილებით მეტი, ვიდრე დედამიწაზედ.

მიწამ მთვარე მიიზიდა, როგორც უფრო თავისზე პატარა და სუსტი. მზეც კიდევ მიწას მიიზიდავს, როგორც აგრეთვე თავისზე პატარასა და სუსტს, და როგორც მიწამ მთვარე ინაცვალა, ისე მზე მიწას მიამსხვრევს.

ასე ყოფილა: ყველგან დიდი და მძლავრი პატარასა და უღონოს სჩაგრავს და იღნობს!

როგორც მიწისა და მთვარის შეხეთქების დროს მიწა აენთო და გაკაშკაშდა, აგრეთვე, როდესაც მზე და მიწა ერთმანეთს შეეხეთქებიან, ჩამქრალი მზე გაკაშკაშდება, მხოლოდ ძალიან ცოტას ხანს-კი, სულ რამდენსამე წამს, მერე ისევ ჩაქრება და ბნელით შეიმოსება. დედამიწა-კი მზეზე დაცემის დროს სრულებით დაიფშვნება, მტვრად იქცევა და მზეს მოეფინება, მზის მტვერში გაერევა.

აი რა დასასრული მოელის ჩვენს დედამიწას!

საკვირველია! ეს თხუთმეტიოდე მილიონი წელიწადია, რაც ჩვენი დედამიწა მოჰშორებია მზეს, განცალკევებულა და თავისთვის დაუწყია ცხოვრება. კიდევ გაივლის რამდენიმე მილიონი წელიწადი, დედამიწა ათას გვარ თავ-გადასახედს გამოივლის და ბოლოს, ერთი ასის მილიონის წლის ცალკე ცხოვრების შემდეგ, ისევ იმ მზეს დაუბრუნდება, რომელსაც პირველად გაშორდა.

ვითომ ამ სახით სამუდამოდ გაჰქრეს დედამიწა! ვინ იცის, იქნება გაიაროს დიდმა, ძლიერ დიდმა ხანმა და მიწა ისევ მოჰშორდეს კიდევ მზეს, როგორც უწინ, ისევ ასიოდ მილიონი წელიწადი იცხოვროს და ისევ უკანვე დაუბრუნდეს მზეს!?

დონ-იაგო

მოხენილის კაცის სიტყვები თითო-თითოდ უნდა აჭკრიბოს, შემდეგ ფონოგრაფი უნდა დაჭბეჭდონ და ბირმინგამის მუზეუმში შეინახონ. ბეჭედს აართმევენ გლადსტონის სიკვდილის რამდენსამე წელს შემდეგ, რათა მომავალს თაობას შეეძლოს შეტყობა, თუ როგორი მჭევრმეტყველი იყო დიდებული გლადსტონიო.

— გერმანიის იმპერატორს პაპისათვის უჩუქნია ოქროს სათამბაქო, ბრილიანტებითა და ვილჭელმისავე სურათით მორთული. ეს სათამბაქო მაშინ მიურთმევია იმპერატორისათვის ელჩს შლეცერს, როცა იგი პაპთან შესულა. საუბედუროდ, სათამბაქო იმპერატორს სწორედ მაშინ გავარდნია ხელიდგან, როცა პაპი დაუნახავს.

— ლონდონის თეატრთა რიცხვმა კიდევ ერთით იმატა: ამ დღეებში აუშენებიათ ახალი თეატრი, სახელად „Chaftsabury“. ეს ახალი თეატრი დიდებული ტაძარია თურმე და 13 შესასვლელი და გამოსასვლელი კარები აქვს; იგი დაიტევს 1,800 კაცს. თეატრის კურთხევის პირველსავე დღეს წარმოუდგენიათ შექსპირის კომედია: „როგორც გნებოსთ“.

— ვენაში თანდათან უფრო და უფრო შემოდის თურმე ცხენის ხორცის ხმარება. ამ უკანასკნელს სამს თთვეს, მაგალითებრ, საჭმელად სახმარებლად 1,268 ცხენი დაუკლავსთ. ცხენის ხორცი ძროხისაზე გაცილებით იაფად ისყიდება თურმე.

— პარიჟში ერთი სასაცილო ამბავი მომხდარა მაშინ, როცა უცხო ქვეყნელთა პარიჟში ცხოვრების მოწმობანი უსინჯავთ. სხვათა შორის ასეთივე მოწმობა მოუთხოვნიათ ნეაპოლიტანის ნამეფარ ფრანცისკე II-ისაგან, რომელიც ჩვეულებრივად ხან პარიჟში სცხოვრებს და ხან ბავარიაში. ნამეფარს უთქვამს, რომ მე არავითარიმე მოწმობა არა მაქვს და ვერც ვიშოვნი, რადგან მხოლოდ იტალიის მეფე მიცნობს, მე იგი ტახტის მტაცებლად მიმაჩნია და არ მინდა იმასთან რაიმე დამოკიდებულება ვიქონიოო. ეს საქმე გამოძიებაშია ამ ჟამად და, უეჭველია, კეთილად გადასწყდება.

— „Pall-Mall-Gazette“ ასწერს ერთს საყურადღებო ზნეს ტიბეთელებისას —მრავალ - ქმრობას. ამ „თოვლთა ქვეყანაში“ პოლიანდრია —მრავალ-ქმრობა ყველგან არის თურმე გავრცელებული, სადაც კი ტიბეთურად ლაპარაკობენ. ამ მრავალ-ქმრობას ის განსაკუთრებული თვისება აქვს, რომ ერთის რომელისამე დედაკაცის ქმრები, თუ ძმები არა, მახლობელნი ნათესავნი მაინც არიან ერთმანეთისა. დანარჩენი მომეტებული ქალები, რომელნიც ვერა თხოვდებიან, შედიან დამაის დედათა მონასტერში, სწავლობენ წერა-კითხვას, სწერენ ტიბეთის სასულიერო წიგნებს და ღვთის-მსახურებაში მონაწილეობას იღებენ. საერთო ცოლს ძმებში უფროსი ირჩევს. ასეთი წესი ცოლის შერთვისა ტიბეთში ძველის-ძველ დროიდგანვე ჰქონიათ. უმთავრეს აზრად ამ ჩვეულებას, რაღა თქმა უნდა, მცხოვრებთა შემცირება აქვს, რადგან ტიბეთში ცხოვრება საზოგადოდ ძალიან ძნელი და გაჭირებულია.

# დეპეშა

27 ოქტომბერი

ბორკი. საიმპერატორო მატარებლის ნამსხვრევები გაარჩიეს და შეამოწმეს; გამოძიება თავდება; ექსპერტიზა შეუდგა იმ საკითხავთა განხილვას, რომელნიც გამომძიებელმა დაადგინა. რელსები და შპალები ადგილობრივად გულ-დასმით შეამოწმეს ყველა ექსპერტებმა.

პარიჟი. იმის გამო, რომ ამას წინად რამდენჯერმე ააფეთქეს სავაჭრო უბანი, ოცი კაცი შეიპყრეს.

ნიუ-იორკი. რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევანში მეტი ხმა ერგო გარისონს.

28 ოქტომბერი

პეტერბურგი. გამოცხადებულია უმაღლესი რესკრიპტი გენერალ-ადმირალის სახელობაზე. რესკრიპტში ნათქვამია, რომ ხელმწიფე იმპერატორი, როცა რუსეთის სამხრეთ ქვეყნებში ბრძანდებოდა, დარწმუნდა, რომ მისის უდიდებულესობის ნება და სურვილი მტკიცედ სრულდება. მისს უდიდებულესობას ჰსურს ისეთი ფლოტი იქონიოს, რომელსაც შეუძლიან დაარწმუნოს ზღვის ნაპირების მცხოვრებნი, რომ მათი ქონება შიშს გარეშეა და ვაჭრობასა და მრეწველობას არავითარი დაბრკოლება არ მოელის. ხელმწიფე იმპერატორი იღვწის რა რუსეთის კეთილ-დღეობისა და სახელისათვის, გულითადის სიხარულით უყურებდა სამხედრო ესკადრას, რომელიც მზად არის დაიცვას ჩვენი უფლება შავს ზღვაზე.

პეტერბურგის ბირჟა, 25 ოქტომ.

| | მყიდველ. ფ. | | გამყიდველისა. | | გაყიდულისა. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — | „ | — | „ | 7 | 68 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — | „ | — | „ | 153 | |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | 1 | 17 | — | „ | — | „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მოგები ბილეთი . . . . . | 269¼ | | — | „ | — | „ |
| —მეორისა , . . . . | — | „ | — | „ | 242 | |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — | „ | — | „ | — | „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — | „ | — | „ | — | „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — | „ | — | „ | — | „ |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპჱ (1888) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7396.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ. ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1888 წლის ზედ-ნადებია—25.

ღვინობისთვე 31 დღით არის

29 დღე შაბათი. მოწ. ანასტასიასი. კათოლ. ფელიციანისა. სომეხ. იოანე ოქროპირისა. მაჰმად. მე-6 რიცხვი თთვისა რები-ულ-ევვლისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—44. ტფილისში მზე ამოდის 6—43, ჩადის 4—45. მთვარე 7 დღისაა.

30 დღე კვირა. მოწ. ზინოვიასი, იუსტისა, არტემისა და სხ. კათოლ. ზინოვიასი. სომეხ. ქირწინებათა ნება ეძლევათ. მაჰმად. მე-7 რიცხვი თთვისა რები-ულ-ევვლისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—44. ტფილისში მზე ამოდის 6—45, ჩადის 4—44. მთვარე 8 დღისაა.

31 დღე ორშაბათი. წმ. სპირიდონისა და მავრისა. კათოლ. ვოლფგანგისა. სომეხ. რომის პატრიარქის სტეფანესი. მაჰმად. მე-8 რიცხვი თთვისა რები-ულ-ევვლისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—44. ტფილისში მზე ამოდის 6—46, ჩადის 4—45. მთვარე 9 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ოქტომბრიდამ 1 ნოემბრამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. . | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. . | 3½ | „ |
| „ 2 „ | 3 | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | „ |
| „ „ 2— | 4 | „ |
| „ „ 3 „ | 3½ | „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | |
| 1-ლის ხარისხისა . . | 5 | „ |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 | |
| მე-3 — . . . | „ | „ |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 | „ |
| „ 2 „ | 7 | „ |
| სუკი . . . . | 14 | „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 | „ |
| ღორის ხორცი . . . | „ | „ |
| „ 2 „ | „ | „ |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამ, შაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით; ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულ. კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.


# განცხადებანი

ქ. ტფილისის ხაზჭოს მიერ შედგენილი კომისია, რომელმაც უნდა აირჩიოს ადგილი სამუდამო ხაყასბოხსათვის, მოიწვევს იმათ, ვინც თანახმანი იქნებიან თავიანთი მამულები დაუთმონ ქალაქს საყასბოსათვის, და სთხოვს თავიანთი პირობა და თანხმობა წერილით აცნობონ ტფილისის საქალაქო გამგეობას. წერილში აღნიშნული უნდა იყოს, თუ სად არის მამული, რამდენია და რა ღირს.

საყასბოსათვის გამოსადეგი მამულები უნდა იყოს მდ. მტკვრის დაყოლებაზე: მარჯვენა ნაპირზე მირზოევის ფაბრიკის ქვემოდ, ხოლო მარცხენა ნაპირზე—„ლინენის ყაზარმების“ ქვემოდ. თავიანთი პირობა და თანხმობა უნდა აცნობონ ამ წლის 15 ნოემბრამდე. (2—1)

მხოლოდ ამ ფაბრიკის მარკით არის ნამდვილი.

Huste-Nicht

Gerichtl. geschützt

„ნუ ახველებ“

თაფლ-ბალახიანი-მალც-ექსტრაქტი და კონფეტები

ლ. გ. პიტშისა და ამხ. ბრესლავლში.

იხმარება წინააღმდეგ ხველისა, ხმის წასვლისა და ყელისა და გულის ავადმყოფობისა.

ხმარების რიგი და წესი

დ-რმა მიხაელისმა med. praet. დააჰვნიშნა ბავშვთათვის 3—4-ჯერ დღეში თითო ჩაის კოვზი, ხოლო უფროსებისათვის ჰხმარობენ ყოველ დღე 4—6 ჩაის კოვზს ექსტრაქტს.

კონფეტების ამ თვითვე ხმარებით შეიძლება საშემდეგოსოდ აიცილოს ადამიანმა ხველა, ხმის წასვლა და ყელის გაცივება.

ქიმიურ ანალიზითა და სამკურნალო გამოკვლევით დამტკიცებულია, რომ ყოველს შემთხვევაში ამ წამლებში არეული არ არის არც ერთი მავნებელი ნივთიერება ადამიანის ჯან-მრთელობისათვის; ამ წამლების რუსეთში შემოტანა და გასყიდვა ნება-დართულია სამკურნალო დეპარტამენტის მიერ.

ფასი: ბოთლი ჰღირს 1 მან. 25 კაპ. და 2 მან. 40 კაპ.

კონფეტები 30 და 50 კაპ.

გაგზავნა და შეხვევა ცალკე უნდა იანგარიშებოდეს.

უმთავრესი საწყობი რუსეთისათვის იმყოფება ვ. აურიხთან ს.-პეტერბურგს.

ისყიდება აგრეთვე რუსეთის ყველა აფთიაქებსა და სააფთიაქო მაღაზიებში.

ტფილისს: სააფთიაქო საქონლით ვაჭრობის კავკასიის ამხანაგობაში, ვ. გრინვაკთან, გ. ა. პოპოვთან, მ. მარტიროზოვთანა და ა. პოპოვთან. (17—3)

ისყიდება სოხუმიდამ 24 ვერსზე

მამული ვორონცოვისა

ათასი დღიური შენობებითა და სამეურნეო მოწყობილობით

ვისაც ჰსურს შეიძინოს ეს მამული, მიჰმართოს დაწვრილებით გარემოების შესატყობად სოხუმში ივანე ვასილის ძეს მაიუტინს. (24—3)

ნამდვილი საუნჯეა

ყველასთვის განთქმული წიგნი

თავის მცველი

თხზ. დ—რის რეტაუსი

რუსულად გამოცემული 3-ის სურათით

ფასი 1 მანათი.

წაიკითხოს ყველამ ეს წიგნი, ბევრი გადაურჩენია და დაუხსნია ამ წიგნს სიკვდილისაგან.

ვინც მანეთს გაუგზავნის გამომცემელ რ. ფ. ბირეის წიგნის მაღაზიას ლეიპციგში, მიიღებს წიგნსა.

ადრესი: გერმანია, R. F. Bierey's Verlage-Magazin in Leipzig. (50—45)

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 101)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძისაგან . . . . . . . | „ | 40 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ. . . . . . | „ | 15 |
| ორ-მეტყველება, სახელმძღვანელო გრამატიკისა, ზ. კვიცარიძისა . . . . . . . . | › | 40 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. . . . . . . | 1 | 50 |
| II ნაწ. . . . . . . | 1 | 50 |
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა . . . . . | „ | 15 |
| ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა. . . . | „ | 40 |

სასტუმრო

პურ-ღვინო

იმყოფება

გოლოვინის პროსპექტზე, თ. მუხრან-ბატონის სახლებში, ტფილისის სობრანიის ქვეშ.

ორი თავი საჭმელი ჰღირს თთვეში 12 მან., სამი თავი—18 მ. ღვინითა, არყითა და ყავით მსურველებთან განსაკუთრებული და მეტად სახეირო პირობებით შეიძლება მორიგება. კახური ღვინოები საუკეთესო ფირმებისა გვაქვს, ფასით 40 კაპ. და კიდევ უფრო ძვირად. საზღვარგარეთის ღვინო ჩვენთან ყველაზე უფრო იაფად ისყიდება.

ევროპიულ საჭმელებთან ერთად ყოველ დღე მზადდება აზიური და სხვა და-სხვა გურული საჭმლები, როგორც, მაგალითებრ, საცივე შინაურის ფრინველებისა, ხარჩო და თევზეულობა ღომით. ღომი და სხვა სანოვაგე გურულის საჭმლებისათვის პირდაპირ გურიიდგან ჩამოგვდის. გურულის საჭმლის მოსამზადებლად მოწვეული გვყავს გურული დედაკაცი.

სასტუმროსთანავე გვაქვს ათი სულ ახლად გადაკეთებული და კარგად მოავეჯებული ოთახი, თითო 50 კაპიკიდგან 2 მან. დღე-ღამეში. თთვეობით უფრო ნაკლებ ფასად გაიცემა. სასტუმროსთანავე გვაქვს რუსული და ფრანგული ბილიარდი. (3—2)

კერძო ექიმი

პრეობრაჟენსკი

არჩენს ელექტრონითა: ფარადისებურ და გალვანისებურ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნევრესის სნეულებას, ნევრესის ქარსა და კონტრაქტურას (გაზაკის ნასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთა.

ამას გარდა სწამლობს დედათა სნეულებასა და სიფილისს. ავადმყოფებს მიიღებს ყოველ-დღე: დილით 9 საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 7—8-მდე.

ადრესი: მიხაილოვის ქუჩა, ბექხანოვის, სახლი, № 103. (10—10)


Доз. ценз. Тифлисъ, 28-го Октября 1888 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Фрейлинской ул. пом. Т. Д. З. Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე